

**საქართველოს საგადასახადო სისტემა**

საქართველოს საგადასახადო სისტემა - ამ რუბრიკით ჩვენი ჟურნალი აქვეყნებს სტატიებს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ავ-კარგეიანობის, ასევე საგადასახადო და საბაჟო სამსახურების მუშაობის შესახებ. ჩვენი მიზანია ამ სისტემაში დადებითი სიახლეებისა და ასევე არსებული პრობლემების გაშუქება საზოგადოების ინფორმირებისათვის.

## **მეზარმეებს ახალი ფლიდან ახალი საგადასახადო კოდექსი ექნებათ**

29 ივნისს რიგგარეშე სხდომაზე პარლამენტმა ახალი, ხელისუფლების მიერ „რევოლუციურად“ წოდებული საგადასახადო კოდექსის პროექტი პირველი მოსმენით დაამტკიცა. დოკუმენტი, რომლის ავტორია საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 16 ივნისს საქართველოს მთავრობამ პარლამენტს საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარუდგინა და მისი რიგგარეშე განხილვა სთხოვა.

პარლამენტის ბიუროს 17 ივნისის გადაწყვეტილებით, დოკუმენტზე წამყვან კომიტეტად საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი განისაზღვრა. 22 ივნისს კომიტეტს ახალი კოდექსის პროექტი ფინანსთა მინისტრმა კახა ბაინდურაშვილმა წარუდგინა. მისი თქმით, კანონპროექტის ავტორები კანონის შემუშავების პროცესში საზოგადოების მაქსიმალურად ჩართვის პრინციპს იცავდნენ. მათ ძველი კოდექსის გადაკეთება არ დაუწყიათ, მუშაობა ცარიელი ფურცლიდან დაიწყეს, ევროლიბერტიზებსა და ქვეყანაში არსებულ ვითარებას ითვალისწინებდნენ. მინისტრის თქმით, ახალი კოდექსის პროექტი თითქმის 98%-ით განსხვავდება მოქმედისაგან; 2004 წლამდე ხელისუფლებასა და ბიზნესს შორის ურთიერთობა კორუფციაზე იყო დამყარებული, კანონი არ კანონობდა და მაშინ ხელისუფლების მიზანს იმ რეალობის დამარცხება წარმოადგენდა; წინა კოდექსით ეს მიზანი უკვე მიღწეულია.

კახა ბაინდურაშვილი აცხადებს, რომ ახლა მეორე ეტაპია და ახალი საგადასახადო კოდექსის მიზანია საგადასახადო სისტემის მიმართ ნდობის გაზრდა, ბიზნესის ლეგალიზაციის ხელშეწყობა, მისთვის რისკების შემცირება, ბუნდოვანი დებულებების აღმოფხვრა და ადმინისტრირების გაიოლება. მინისტრის თქმით, ჩვენ დღესაც მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დაბალი გადასახადები გვაქვს. სამწუხაროდ, გლობალურმა კრიზისმა ჩვენს ეკონომიკაზეც იმოქმედა და გადასახადების შეპირებული შემცირება 2013 წლამდე ვერ ხერხდება. ამიტომ, მთავრობამ კურსი საგადასახადო ტვირთის გადანაწილებაზე აიღო. შემოდის მიკრო ბიზნესისა და მცირე ბიზნესის ტერმინები და ამ ბიზნესებისთვის დაწესდება მნიშვნელოვანი ხელშეწყობა. პირველ რიგში, მიკრო ბიზნესი, ანუ ბიზნესი, რომლის ბრუნვა 30 ათას ლარამდეა, გადასახადებისგან თავისუფლდება. ასეთი ბრუნვის მქონე მეწარმეები მხოლოდ უნდა დარეგისტრირდნენ.

მცირე ბიზნესი, რომლის ბრუნვაც 200 ათას ლარზე ნაკლებია. ეს ზღვარი აღებულია საერთაშორისო გამოცდილებიდან გამომდინარე. აქ საშემოსავლო გადასახადის განაკვეთია 5%, რაც ასევე ნორმაშია ევროპის ქვეყნებთან.

ამასთან, ჩადებულია საინტერესო მომენტი, რომ ბიზნესს თვითმობილიზაცია უჩნდება, კერძოდ, თუ მეწარმეს აქვს ერთობლივი შემოსავლის 60%-ის ოდენობის ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტები, ის 5%-ის ნაცვლად 3%-ით დაიბეგრება.

მიკრო და მცირე ბიზნესების სპეციფიკური სფეროა ე.წ. ბაზრობები. მათთვის ახალ საგადასახადო კოდექსს სპეციალური სავაჭრო ზონის რეჟიმი შემოაქვს. ბაზრობის ადმინისტრატორი საგადასახადოში წარადგენს სავაჭრო ადგილების დამქირაველთა საგადასახადო დეკლარაციებს და გადარიცხავს გადასახადის თანხას. სპეციალური სავაჭრო ზონის ტერიტორიაზე მცირე ბიზნესი 3%-ით იბეგრება.

გადასახადის გადამხდელის უფლებების გასაძლიერებლად შემოდის წინასწარი გადაწყვეტილება. ეს არის გადამხდელის შესაძლებლობა, მიმართოს საგადასახადოს და მისგან მიიღოს წინასწარი დასკვნა, თუ როგორ დაიბეგრება მის მიერ დაგეგმილი ან უკვე განხორციელებული ოპერაციები და ამის მერე სხვანაირად დაბეგრას ვეღარავინ მოსთხოვს. გარდა ამისა, თუ დავების განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია კანონმდებლობის ნორმების ერთგვაროვანი განმარტებისა და გაგებისათვის, მაშინ ფინანსთა მინისტრი გამოსცემს საჯარო გადაწყვეტილებას. მინისტრის თქმით, ამის გაკეთება დღეს იმიტომაც შესაძლებელია, რომ საგადასახადო და საბაჟო სისტემაში კორუფციული გარიგებები და სისტემური დანაშაულობები აღმოიფხვრა. გადამხდელთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას განხორციელებს ახალი ინსტიტუტი – საგადასახადო ომბუდსმენი.

ფინანსთა მინისტრის გადაწყვეტილებით, იქმნება აუდიტორთა საბჭო, რომელშიც შედიან ფინანსთა სამინისტროს თანამშრომლები და მოწვეული სპეციალისტები. საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს ამა თუ იმ საგადასახადო შემოღებების შედეგებზე გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით მიმართოს აუდიტორთა საბჭოს, ხოლო აუდიტორთა საბჭოს გადაწყვეტილება საგადასახადოსთვის შესასრულებლად სავალდებულოა.

ყოველთვიური დეკლარირება ყოველკვარტალურით იცვლება, რაც ფაქტობრივად, გადასახადის გადამხდელისთვის ფულად შეღავათს, 2-თვიან უპროცენტო სესხს წარმოადგენს.

საგადასახადო და საბაჟო კოდექსები უნიფიცირებულ დოკუმენტად ერთიანდება, ერთიანდება საგადასახადო და საბაჟო ბარათებიც. საბაჟო გადასახადს იმპორტის

გადასახადი დაარქვეს.

მსხვილი ბიზნესისთვის შეღავათია, რომ საზღვარზე არ გადაიხდის დღგ-ს და გადაიხდის მხოლოდ შიდა სივრცეში.

შემოდის „პატიოსანი“ გადამხდელის ცნება და გათვალისწინებულია პატიოსანი გადამხდელის წახალისების მექანიზმები.

მოხდება ზედმეტად გადახდილი თანხების ავტომატურად უკან დაბრუნება – კვარტალში ერთხელ, საგადასახადო ორგანო ბიზნესს ზედმეტად გადახდილ თანხას მოთხოვნის გარეშე გადაურიცხავს.

საგადასახადო წნეხს რაც შეეხება, მინისტრის თქმით, საგადასახადო ბაზა გააფართოვეს, ოღონდ ამას ვერ გააკეთებდნენ სოფლის მეურნეობასა და პრესაზე. ნახულობდნენ სექტორებს, რომლებსაც აქვთ ჭარბი მოგება. თავიდან მთავრობა უმაღლესი სასწავლებლების დღგ-ით დაბეგვრას აპირებდა, მაგრამ საზოგადოების პროტესტის გამო თავის ამ განზრახვაზე ხელი აიღო.

**ვისი მონაწილეობით შემუშავდა ახალი საგადასახადო კოდექსი**

ფინანსთა სამინისტრო ირწმუნება, რომ ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტი სპეციალისტებისა და ბიზნეს-წრეების ფართო მონაწილეობით შეიმუშავა. იგივეს აცხადებს ბიზნეს-ასოციაციის პრეზიდენტი გიორგი ჭირაქიძე, რომლის თქმითაც, საგადასახადო კოდექსის პროექტის შემუშავებაში ამ ასოციაციის ჩართულობა უპრეცედენტო იყო, დაახლოებით 9 თვის წინ დაიწყო მუშაობა. პროექტის შემუშავებაში კერძო ბიზნესის მაღალ ჩართულობაზე უმთავრესად მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლები საუბრობენ. მათი აზრით, ეს კოდექსი ბიზნესისთვის ნამდვილად წინგადადგმული ნაბიჯი იქნება.

ყოფილი პარლამენტარის, „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერის ზურაბ ტყემალაძის თქმით, ბევრია ისეთი ბიზნესმენი, ვინც კანონს საერთოდ არ იცნობს და ისე უკმევს გუნდრუკს, გაიძახის, კარგიაო. ასე იყო იმ საგადასახადო კოდექსთან დაკავშირებითაც, რომელიც 2005 წლიდან მოქმედებს. 2004-ში 3-ჯერ გააკეთეს ფართო პრეზენტაცია (ერთხელ ბიზნესმენტა ფედერაციაში, მეორედ „მეტეხში“ და მესამედ „იმედის“ პირდაპირ ეთერში) საგადასახადო კოდექსისა, რომელიც ბუნებაში არ არსებობდა. პრეზენტაციებს აწყობდა მთავრობა, ფინანსთა სამინისტრო, ძირითადად – ფინანსთა მინისტრი ნოლაიდელი. მაშინ მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია იყო. ვინც დოკუმენტის წაკითხვა მოინდომა, მიუთითებდნენ საიტს, სადაც სინამდვილეში სულ სხვა რამე ეწერა.

სულ გეპირდებიან, კანონში ორაზროვნება და ბუნდოვნება აღარ იქნებაო. ახლაც შეგეპირდნენ. მეტი რაღა ორაზროვნება გინდათ, საგადასახადო ინსპექცია პირდაპირ ჩაწერს შავზე, თეთრი არისო. განმარტებას მისცემს საგადასახადო, რომ კანონმდებელი ამას კი არა, ამას გულისხმობდაო! თუ ორაზროვნება არ უნდა, ჩაწერონ, რომ ასეთი მომენტები მეწარმის სასარგებლოდ გადაწყდება! რამდენიმე თვის წინათ ქონების გადასახადის ბაზა

გაასამმაგეს. განაკვეთი 1% იყო და იგივე დარჩა, თუმცა როცა ბაზა 3-ჯერ იზრდება და პროცენტი არ იცვლება, ე.ი. გადასახადის ოდენობა იზრდება 3-ჯერ. ეს ისე გააკეთეს, რომ მეწარმეთა ალბათ 3/4-მა ვერც გაიგო, როგორ მოხდა. ახლა მთელ რიგ პროდუქტებზე აქციზის გადასახადი იზრდება და ასე შემდეგ, რაც არასწორია. პრეზიდენტის ინიციატივა იყო, რომ ნებისმიერი გადასახადის გაზრდა თუ ახლის შემოღება საჯაროდ განიხილებოდა, რეფერენდუმის საშუალებით გადაწყდესო. არადა, აგერ, აქციზი იცვლება, ქონების გადასახადი გაიზარდა, ინსპექციებს ნორმატიული აქტის გამოცემის უფლებებს აძლევენ. სად არის რეფერენდუმი?! თუ ნორმატიული აქტის გამოცემის უფლებას თვითონ საგადასახადოებს აძლევენ, მაშინ რაღა საჭიროა კანონმდებლობა და პარლამენტი ამ მიმართულებით? - კითხულობს ზურაბ ტყემალაძე და ახალ საგადასახადო კოდექსს რადიკალურად უარყოფითად აფასებს.

1997 წელს, როდესაც იმჟამინდელმა პარლამენტმა საქართველოს პირველი საგადასახადო კოდექსი მიიღო, თეიმურაზ კოპალეიშვილი საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე იყო. იგი იხსენებს, რომ პარლამენტი იმ კოდექსს მთელი საგაზაფხულო სესიის განმავლობაში იხილავდა. ის ფაქტი, რომ ახალ კოდექსზე მუშაობა მიმდინარეობდა, თეიმურაზ კოპალეიშვილისთვისაც უცნობი იყო. მან ამის თაობაზე მხოლოდ მაშინ შეიტყო, როცა პროექტი უკვე გამზადებული იყო და სანამ პარლამენტში შეიტანდნენ, მისი პრეზენტაციები დაიწყო. ერთ-ერთ ასეთ შეხვედრაზე კოპალეიშვილიც გახლდათ, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, მაშინ კოდექსი პრაქტიკულად ფორმირებული იყო. ახლა კოპალეიშვილი ამ პროექტზე კომენტარებს ამზადებს, რომელსაც მიაწვდის ყველას (მათ შორის, ფინანსთა სამინისტროს და კომიტეტსაც პარლამენტში), ვინც დაინტერესდება და მისი გამოყენების სურვილი ექნება.

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი ლადო პაპავა აცხადებს, რომ ახალი საგადასახადო კოდექსი მთავრობამ მოულოდნელად გამოიტანა. რაც შეეხება ექსპერტებსა და ბიზნესმენტებთან წინასწარ კონსულტაციებს, ბოლო წლებში ჩამოყალიბებული პრაქტიკიდან გამომდინარე, ამის მოთხოვნილება მთავრობას ნამდვილად არ გააჩნია. მისი მთავარი ინსტრუმენტია მოულოდნელობა და მერე კარგად „გაპიარება“. მეწარმეებთან შეხვედრები რომ ჰქონდათ, ეს არაფერს ცვლის. განა რასაც აქამდე აკეთებდნენ, ყველაფერი შეთანხმებული იყო?! პაპავას თქმით, პირადად მას ხელისუფლებამ ამ კოდექსზე სამუშაოდ თანამშრომლობა კიდევაც რომ შესთავაზოს, აზრიც არ ექნება, ვინაიდან ასეთი შეთავაზება, როგორც წესი, პიარზეა აგებული.

**რამდენად რეპოლუციური ახალი საგადასახადო კოდექსი**

აქამდე ჩვენი ხელისუფლება სულ გვიმტკიცებდა, რომ ჩვენი ამჟამინდელი საგადასახადო კოდექსი ლამის მთელ მსოფლიოში ყველაზე საუკეთესო, ლიბერალური და დაბალი გადასახადებით გამორჩეული იყო. რატომ გახდა საჭირო

მისი შეცვლა? საერთოდ კი, ახალ-ახალ საგადასახადო კოდექსებს ძალიან ხშირად და ამჯერად ნაჩქარევადაც ხომ არ ვღებულობთ?

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი ლადო პაპავა მიიჩნევს, რომ ის კოდექსი, რომელიც საქართველოში 2005 წლის 1 იანვრიდან მოქმედებს, მართლაც უკეთესია იმ კოდექსთან შედარებით, რაც 2004 წლის ჩათვლით მოქმედებდა. ამ თვალსაზრისით მართლაც წინგადადგმული ნაბიჯი იყო, როდესაც ზურაბ ჟვანიას ხელმძღვანელობით მთავრობამ ახალი საგადასახადო კოდექსის მომზადება და შემდეგ პარლამენტში გატანა მოახერხა. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენი კოდექსი ყველაზე საუკეთესოა, რადგანაც ჯერ ერთი, იდეალური კოდექსები ბუნებაში საერთოდ არ არსებობს და მეორე, ამ კოდექსშიც შენარჩუნებულია გარკვეული ბუნდოვანება, რაზედაც ჩვენი მეწარმეები ხშირად მიუთითებენ. თუმცა, წინამორბედ კოდექსში ბუნდოვანება კიდევ უფრო მეტი იყო.

ცვლილებები დღეს მოქმედ კოდექსშიც საკმაოდ ხშირად მიმდინარეობდა. სამწუხაროდ, ბოლო წლებში ჩვენთან ასეთი პრაქტიკა ჩამოყალიბდა, რომ როგორც კოდექსიც არ უნდა მივიღოთ, მასში ცვლილება ძალიან ხშირად შედის, რაც მეწარმეში გარკვეული არასტაბილურობის განცდას იწვევს და ეს ბიზნესისთვის ცუდია.

პაპავასთვის გაუგებარია, რითაა განპირობებული ამ ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტის შემუშავება, რა განხილვები ამის მასტიმულირებელი, იმიტომ რომ თითქოს არაფერი ისეთი განსაკუთრებული არ ხდებოდა. როგორც ირკვევა, ის მიდგომები, რაც ახალი კოდექსის პროექტშია, გარკვეულ ცვლილებებს კი იწვევს, მაგრამ არც იმდენს, როგორც ეს „გააპიარეს“, თითქოს რაღაც ახალ, რევოლუციურ ცვლილებებს ამზადებდნენ. ეს დოკუმენტი ფუნდამენტურად არ განსხვავდება მოქმედი საგადასახადო კოდექსისაგან; უბრალოდ, ამ უკანასკნელის მოდერნიზაცია ხდება. რაც შეეხება ახალი ცნებების შემოღებას, ყველა ეს ტერმინი შესაბამის სამეცნიერო თუ სასწავლო ლიტერატურაში ცნობილია, ამაში მთავრობა ნოვატორი ნამდვილად არ არის. მთავარია, საქართველოში რა შინაარსი ჩაიდება ამ ცნებებში.

ლადო პაპავას აზრით, ორი კოდექსის (საგადასახადო და საბაჟო) გაერთიანება ტექნიკური საკითხია. მთავარია შინაარსობრივად რა ჩაიდება, შინაარსობრივად რა იცვლება, თორემ ტექნიკურად ამაში არც ცუდი დევს რამე და არც კარგი.

პარლამენტში შეტანის დრო რამდენად შედეგიანი იქნება ასეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტის განსახილველად? როგორც თქვენს, ივლისში და შეიძლება ნაწილობრივ აგვისტოშიც პარლამენტი იმუშავებს. თუ ეს ცვლილებები 2011 წლის 1 იანვრიდან უნდა ამოქმედდეს, მაშინ მას პარლამენტში რაც ადრე შეიტანდნენ, მით უკეთესი იქნებოდა, რომ მეწარმეებმა წაიკითხონ, შეისწავლონ, გაეცნონ და ახალ წელს ამ საგადასახადო მოთხოვნებს მომზადებული შეხვდნენ. ასე რომ, ამ თვალსაზრისით, ცოტა ადრე რომ გაეკეთებინათ, უკეთესი იყო. პაპავა განმარტავს, რომ ეკონომიკა მოქმედი ცოცხალი ორგანიზმია და თუ ის

რაღაც ცვლილებების მიღებას საჭიროებს, მათი მიღება აუცილებელია. მაგრამ 2005 წელს ამოქმედებული საგადასახადო კოდექსი, რომელიც „გააპიარებული“ იყო როგორც რევოლუციური, მხოლოდ 6 წლით რომ იყო მიღებული და მეტით არა, ეს ადასტურებს, რომ ის „პიარიც“ მოტყუებაზე იყო აგებული და სულაც არ არის გამორიცხული, რომ 2014 წლისთვის კვლავ ახალი საგადასახადო კოდექსის თემა დადგეს, როდესაც ქვეყანას ახალი პარლამენტი და ახალი პრეზიდენტი ეყოლება.

პარლამენტის ვიცე-სპიკერ ლევან ვეფხვაძეს მიაჩნია, რომ თავის დროზე საშემოსავლო გადასახადთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება რევოლუციური იყო, ახლა კი არის კონტრრევოლუციური, ვინაიდან ამ გადასახადის დაწვევის ვადამ გადაიწია.

### უნდა ჰქონდეს თუ არა სამინისტროს კოდექსის განმარტების უფლება

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გურამ ჩახვაძე აცხადებს, რომ ჩვენი კანონმდებლობით, კანონის განმარტების უფლება მხოლოდ სასამართლოს აქვს. ახალი საგადასახადო კოდექსით კი ამის უფლება სამინისტროს ეძლევა, რაც დაუშვებელია. გარდა ამისა, მთავრობა განსაზღვრავს იმ საქმიანობათა ჩამონათვალს, რომელიც არ იბეგრება და რატომ არ შეიძლება ეს კოდექსმა განსაზღვროს?

ზურაბ ტყემალაძეც იმათ რიცხვს ეკუთვნის, ვისთვისაც ყოველად მიუღებელია, რომ ფინანსთა სამინისტროსა და საგადასახადოს ეძლევა განმარტებების მიცემის უფლება, რომელსაც უნდა ჰქონდეს ნორმატიული აქტის ძალა. ისიც შეგვახსენებს, რომ კონსტიტუციის მიხედვით კანონის განმარტების უფლება აქვს მხოლოდ და მხოლოდ სასამართლოს და ამის უფლება არავითარ შემთხვევაში არ გააჩნია არც თვით პარლამენტს, კანონმდებელს. ახლა კანონის განმარტების უფლება მიიღო შემოსავლების სამსახურმა, რაც იმას ნიშნავს, რომ საგადასახადო ინსპექციის მესვეურები ნებისმიერ საკითხზე ნორმატიულ აქტს გამოსცემენ და რა საჭიროა მაშინ კანონი?! ტყემალაძის თქმით, ეს ნამდვილად არის უკან გადადგმული ერთი კი არა, 3 ნაბიჯი, თუ მეტი არა!

ლადო პაპავას აზრით, მისასალმებელია, რომ იქმნება სპეციალური ორგანო, სადაც ფინანსთა მინისტრის მონაწილეობით შეიძლება ბიზნესსა და საგადასახადო სამსახურს შორის დავის განხილვა. ამასთან ერთად, ბიზნესისთვის ისიც კარგია, რომ გარკვეულ წერილს, რომელსაც ფინანსთა სამინისტრო ან მისი საგადასახადო სამსახური ბიზნესმენს მისწერს, რომ ესა თუ ის საკითხი ბიზნესმენის სასარგებლოდ არის, შეიძლება სასამართლო ჩივილის დროს საკანონმდებლო აქტის ტოლფასი ძალა მიეცეს. მოგეხსენებათ, მოქმედი კოდექსით ფინანსთა სამინისტროს თუ საგადასახადო ორგანოს ახსნა-განმარტებას მხოლოდ რეკომენდაციის ხასიათი აქვს და მეწარმისთვის შესასრულებლად სავალდებულოა ის, რაც კოდექსში წერია. ახლა ეს იცვლება. ოპონენტები შიშობენ, რომ ამ ცვლილების შედეგად ნებისმიერ ინსპექტორს

შეეძლება თავისებურად განმარტოს და საგადასახადო კოდექსი როგორც უნდა, ისე ცვალოს. ლალო პაპავა განმარტავს, რომ ეს ასე მარტივად არ არის. ჯერ ერთი, სახელმწიფო მოხელე ვალდებულია, რომ მისი განმარტება ადეკვატური იყოს იმისა, რაც საგადასახადო კოდექსში წერია. თუ ის შეცდომას დაუშვებს და მეწარმეს რაღაც დამატებით შელავათებს მისცემს, მეწარმე დაცული იქნება, რადგან ახალი კოდექსით საქმეს სასამართლოთი მოიგებს, მაგრამ შესაბამისად ეს მოხელე დაისჯება, ვინაიდან მან სახელმწიფო ინტერესებს ზიანი მიაყენა. ასე რომ, ამ თვალსაზრისით არაკეთილსინდისიერ საჯარო მოხელეზე ზეგავლენა მაინც შენარჩუნებულია.

თეიმურაზ კოპალეიშვილი მიიჩნევს, რომ მისასაღებელია კოდექსში იმის ჩაწერა, რომ თუ გადამხდელი ფინანსთა სამინისტროსგან მიღებული სპეციალური განმარტების მიხედვით მოქმედებს, მერე იგი არ უნდა დაზარალებულ იქნას. ცხადია, კანონის განმარტების უფლება მხოლოდ სასამართლოს აქვს. აქ ლაპარაკი არ არის იმაზე, სწორია თუ არა სამინისტროს განმარტება; მაგრამ როდესაც გადასახადის გადამხდელი სამინისტროს ეკითხება (ვთქვათ, კოდექსი წაიკითხა და ვერ გაიგო), როგორ მოიქცეს, დღევანდელი კოდექსის მიხედვით, სამინისტრო ვალდებულია განმარტოს, თუმცა ამ განმარტებას მხოლოდ რეკომენდაციის ხასიათი აქვს. ახალ კოდექსში კი წერია, რომ მინისტრის გამოცემული განმარტება საგადასახადო ორგანოებისათვის საგადასახადო იქნება და თუ გადასახადის გადამხდელი ამას შეასრულებს, ის არ დაისჯება, თუნდაც რომ ეს რეკომენდაცია არასწორი იყოს (დღემდე ისჯებოდა). ამის შემდეგ შეიძლება, რომ კოდექსში ცვლილება შეიტანონ და ის ბუნდოვანება გასწორდეს.

სხვათა შორის, კოპალეიშვილის თქმით, ჩვენ რომ ასეთი კოდექსი გვაქვს, სადაც აღმასრულებელ ხელისუფლებას საერთოდ არაფრის უფლება გააჩნია, საკმაოდ იშვიათია. არ შეიძლება აღმასრულებელი ხელისუფლება კანონმდებლობის თვალსაზრისით ასეთი უფლებები იყოს. თუმცა, ჩვენი პრობლემა ის კი არ არის, რომ მას უფლება არა აქვს, ჩვენი პრობლემა ისაა, რომ ხშირად აღმასრულებელი ხელისუფლების (განსაკუთრებით საგადასახადო ორგანოების) წარმომადგენლები კანონს არ ასრულებენ.

კახა ბაინდურაშვილი ირწმუნება, ახალი კოდექსით მინისტრის უფლებები იმის ხარჯზე გაიზარდა, რომ საგადასახადო ინსპექტორის უფლებები შემცირდა. განმარტების შემდეგ ინსპექტორი მეწარმეს ვეღარ შეედავება. ეს გახლავთ ბიზნესის მხრიდან წლების განმავლობაში დაყენებული მოთხოვნა. მსოფლიოში არ არსებობს კანონი, რომელსაც განმარტება არ სჭირდებოდეს და ყველა ევროპულ ქვეყანაში ამას აღმასრულებელი ხელისუფლება აკეთებს. ჩვენ არ გვინდა ნაჩქარევად მივიღოთ კოდექსი. მრავალი კანონქვემდებარე აქტის გადახედვაა საჭირო და გვინდა, რომ ამაშიც საზოგადოების ჩრთულობა ასევე მაღალი იყოს. ამიტომ შევა კოდექსი ძალაში 1 იანვრიდან, - აცხადებს ფინანსთა მინისტრი.

მცირე ბიზნესისთვის უკეთესი გარემო  
იქმნება, დანარჩენებისთვის – გვერდითი  
პერაფერი

დაბეგვრის იმ მექანიზმებთან დაკავშირებით, რომლებითაც მიკრო ბიზნესსა და მცირე ბიზნესზე შელავათების დაწესებას აპირებენ, პაპავას მიაჩნია, რომ ეს საკითხები ჯერ კიდევ დასახვეწია. მოგეხსენებათ, მიკრო ბიზნესი მხოლოდ 30 ათას ლარამდე წლიურ ბრუნვას გულისხმობს, ხოლო თავად ბრუნვის დადგენაში სერიოზული ბუნდოვანებაა. ამიტომ პაპავა მხარს დაუჭერდა სულ სხვა მიდგომას, ფიქსირებულ გადასახადს. მიკრო ბიზნესი, როგორც წესი, არის მცირე ზომის სავაჭრო ობიექტი ან სახელოსნო (მაგალითად, მეწაღეს ძალიან მცირე ტერიტორიაზე პატარა ფარდული აქვს და იქ ფეხსაცმელებს არემონტებს) და ასეთ პირობებში ბევრად უფრო უკეთესია ფიქსირებული გადასახადის შემოღება. ამას არც სალარო აპარატი სჭირდება, არც დამატებითი მონიტორინგი და ადმინისტრირების თვალსაზრისითაც ძალიან მარტივია.

ზურაბ ტყემალაძის შეფასებით, ერთადერთი დადებითი ის არის, რომ დღე-ით დასაბეგრი ბრუნვის ზღვარი 100 ათასი ლარიდან 200 ათას ლარამდე იზრდება. 30 ათასამდე ბრუნვის შემთხვევაში მეწარმე რომ გადასახადებისგან გათავისუფლებულია, ეს ვერაფერი მიღწევია, ვინაიდან წელიწადში 30-ათასიანი ბრუნვა უმნიშვნელოა.

თეიმურაზ კოპალეიშვილს მიაჩნია, რომ ლიბერალიზაციის თვალსაზრისით, ახალ საგადასახადო კოდექსში არის გაუმჯობესებაც და არის პირიქით, გაუარესებაც. მაგალითად, ლიბერალიზაციაა დამატებული ღირებულების გადასახადისათვის 200 ათასიანი ზღვარის დაწესება 100 ათასიანის მაგივრად. რაც შეეხება მიკრო ბიზნესს, იქაც თითქოს არის ლიბერალიზაცია, შეიცვალა ის რეჟიმი, რომელიც დღეს მოქმედ კოდექსშია და ახალი უფრო უკეთესია, მაგრამ მაინც და მაინც დიდი ცვლილება არ არის, რადგან ერთობლივი შემოსავლის 30 ათასი ლარი ძალიან პატარა ზღვარია. კოპალეიშვილის გათვლებით, 30 ათასი ლარის ერთობლივი შემოსავალი დღეში 80-82 ლარიან ბრუნვას ნიშნავს და 10-15%-იანი რენტაბელობის შემთხვევაში, გადამხდელს აქედან შეიძლება სულ 8-დან 12 ლარამდე დარჩეს. აი, ეს გაათავისუფლეს დაბეგვრისაგან. ასეთი გათავისუფლება კი მართალია ცუდად, მაგრამ მაინც არის დღეს მოქმედ კანონშიც. მასში წერია, საშემოსავლო გადასახადისაგან გათავისუფლებული არიან პირები, რომლებიც ამა და ამ საქმიანობას ეწევიან და გარკვეული საქმიანობებია ჩამოთვლილი.

ძალიან კარგია სპეციალური სავაჭრო ზონის შემოღება. ეს არის ბაზრობების დაბეგვრის გადარჩენის ერთ-ერთი საშუალება, მაგრამ საქმე არ არის დასრულებული. წერია, რომ დეკლარაციები უნდა წარადგინოს და გადასახადი უნდა გადაიხადოს ბაზრობის (სპეციალური სავაჭრო ზონის) ორგანიზატორმა. ბარემ ბოლომდე მივიყვანოთ და ის ერთი იყოს გადამხდელი. რად გვინდა 500 დეკლარაციის წარდგენა ერთი პირის მიერ?! უმჯობესია, რომ იგი განიხილებოდეს როგორც ერთი გადამხდელი, მან ერთი დეკლარაცია წარადგინოს და შესაბამისი გადასახადი გადაიხადოს.

მცირე ბიზნესისთვის გაცილებით უკეთესი გარემო იქმნება, მიკროსთვის შედარებით ნაკლები, მაგრამ მაინც კარგია, ხოლო რაც შეეხება დანარჩენებს, ბევრი ვერაფერი გაუმჯობესებაა, - დაასკვნის თეიმურაზ კოპალეიშვილი.

**რა ცვლილებებია გადასახადებთან დაკავშირებით**

ახალი საგადასახადო კოდექსით გადასახადების ამოღების ბაზა იზრდება და ბიუჯეტში უფრო მეტი თანხების მობილიზება მოხდება, განსაკუთრებით დღგ-ის და აქციზის გადასახადების მეშვეობით. ექსპერტთა ნაწილი აღშფოთებულია, რომ ავანსებზე დღგ-ის დაწესებით ფაქტობრივად სახელმწიფოს მიერ გადამხდელისგან უპროცენტო სესხის აღება ხდება.

ლადო პაპავა აცხადებს, რომ დღგ ის გადასახადია, რომელიც არის ყველაზე მთავარი ბიუჯეტში და ამიტომ თავის დროზე, როდესაც 20%-იანი დღგ 18%-მდე შემცირა პარლამენტმა, იგი წინააღმდეგი იყო. დღგ-ზე არ შეიძლება არანაირი ფსევდომანიპულაციები, რადგან ამის გარეშე სახელმწიფო თავზე დაგვემხობა.

თეიმურაზ კოპალეიშვილის შეფასებით ძალიან კარგია, რომ დღგ-ს გადამხდელად დარეგისტრირება სავალდებულოა პირისთვის, ვისი ბრუნვაც 200 ათას ლარს აღემატება (მისი აზრით, აჯობებდა ამ ზღვარის უფრო მნიშვნელოვნად გაზრდა); მაგრამ ცუდია, რომ საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი, რომელიც 2011 წლის 1 იანვრიდან უნდა შემცირებულიყო, არ მცირდება. მისი შემცირება გადაიღო, რაც პრაქტიკულად ნიშნავს იმას, რომ განაკვეთი გაიზარდა (ანუ 18% რომ უნდა ყოფილიყო, ამის ნაცვლად გახდა 20%). ასევე, შემოდის ნორმები იჯარით გაცემული ქონების დაბეგვრასთან დაკავშირებით. დივიდენდებსა და პროცენტებზე განაკვეთის შემცირებამაც გადაიწია (ანუ პრაქტიკულად გაიზარდა პროცენტების დაბეგვრა და დივიდენდების დაბეგვრა). გაიზარდა იჯარით მიღებული შემოსავლების დაბეგვრა, როიალტით მიღებული შემოსავლების დაბეგვრა და ასე შემდეგ. როიალტის ახალი დაბეგვრა შემოდის, აქამდე 15%-ით იბეგრებოდა და ახლა 20%-ით იბეგრება. არარეზიდენტების საერთაშორისო გადაზიდვების დროს 4%-იანი დაბეგვრა გეჭონდა და 10%-იანი დაბეგვრა შემოდის.

გარდა ამისა, ძალიან ცუდია ის, რომ თუ ადრე ფიზიკურ პირს 2 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ჰქონდა მატერიალური აქტივი და მისი რეალიზაციიდან მიღებული ნამეტი შემოსავალი საშემოსავლო გადასახადისაგან გათავისუფლებული იყო, ახლა ეს იცვლება და მხოლოდ მაშინ თავისუფლდება, თუ ნამეტი 30 ათას ლარამდეა. მაგალითად, კაცმა გაყიდა სახლი, რომელიც 2 წელზე მეტი (დაეუშვათ, 5-10 წელი) საკუთრებაში ჰქონდა. მოქმედი კოდექსით მის მიერ სახლის გაყიდვით მიღებული შემოსავალი, მიუხედავად ოდენობისა, დაბეგვრისგან გათავისუფლებულია. ახლა 30 ათასზე ზევით რაც იქნება ნამეტი, იმას ბევრად (ვთქვათ, ნამეტი 50 ათასი ლარი თუ მიიღო, მაშინ 20 ათასი ლარი დაიბეგრება). მაგრამ კაცმა 1940 წელს რომ იყიდა ბინა, ან სახლი რომ აიშენა,

იმისი საწყისი ფასი როგორ უნდა იანგარიშოს ვინმემ? – კითხულობს თემურ კოპალეიშვილი (წინასწარი ინფორმაციით, ეს შესწორდება – რედ. შენიშვნა).

სერიოზული ცვლილებებია აქციზის გადასახადთან დაკავშირებით, რომელიც რიგ სახეობებზე მატულობს, რიგზე კი ახლა წესდება. კავშირგაბმულობის სატელეფონო ხმოვანი მომსახურებისათვის განაკვეთი, ცალკეული სახეების მიხედვით, 10%-იანი ზღვრული ოდენობის ფარგლებში ღვინდება საქართველოს მთავრობის მიერ. კოპალეიშვილის აზრით, ეს არ შეიძლება, ვინაიდან ეწინააღმდეგება კონსტიტუციასაც და სხვათა შორის, ამ კოდექსსაც. კონსტიტუციაში წერია, რომ გადასახადი უნდა იქნეს გადახდილი კანონით განსაზღვრული ოდენობით. მთავრობას ამ ოდენობის განსაზღვრის უფლება არა აქვს, იმიტომ რომ აღმასრულებელი ორგანოა და არა – კანონმდებელი.

ისე, ფინანსთა მინისტრის მტკიცებით, მსოფლიოში ყველაზე დაბალი აქციზი საქართველოშია. აქციზის ზრდით ალკოჰოლური სასმელები დიდად არ გაძვირდება, მაგალითად, 15 ლარიანი არაყი შეიძლება 50 თეთრით გაძვირდეს. ტელეკომუნიკაციებზე აქციზი იმიტომ გაიზარდა, რომ ყველაზე მაღალმომგებიანი სფეროა და მათზე გაცილებით დაბალია საგადასახადო წნეხი. ამ ცვლილებების მეშვეობით გახდება შესაძლებელი ბიუჯეტში კომპენსაცია იმ შეღავათებისა, რაც ახალი საგადასახადო კოდექსით მიკრო და მცირე ბიზნესზე დაწესდება.

საგადასახადო ტექნიკის თვალსაზრისით თეიმურაზ კოპალეიშვილს ძალიან ბევრი შენიშვნა აქვს. მაგალითად, მიაჩნია, რომ არ შეიძლება კოდექსში სამომავლო ნორმები იყოს. კოდექსში წერენ, რომ საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი არის 15% და მერე ბოლოში უწერიათ, რომ ეს 15% მხოლოდ 2014 წლიდან ამოქმედდება, მანამდე კი 20% იქნება. თუ რა იქნება 2014 წლიდან, ეს კოდექსში რატომ უნდა ეწეროს?! ეს არის სამომავლო ნორმა, მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური განცხადება. კოდექსი არის კანონი და მასში პოლიტიკური განცხადებები არ უნდა იყოს ჩაწერილი. უმრავლესობა ასეთი შეცდომებისა დღეს მოქმედშიც არის და თითქმის ყველა მათგანი ახალშიც გადმოიღის.

კოპალეიშვილისვე შეფასებით, დოკუმენტში ძალიან ბევრი ტერმინოლოგიური უზუსტობაა; ძალიან ბევრგან კანონის არქიტექტონიკა არ არის კარგი; ე.ი. საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით კოდექსს აქვს ძალიან ბევრი ხარვეზი. ეს არ ნიშნავს, თითქოს დღეს მოქმედი უკეთესია, მაგრამ დღეს მოქმედში ცუდი რაც იყო, თითქმის ყველაფერი ახალშიც გადატანილია. ასე რომ, საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით, კოდექსი ძალიან სერიოზულ დახვეწას მოითხოვს. კოპალეიშვილი ეჭვობს, რომ ეს ნაკლი გასწორდეს, რადგან როდესაც იგი საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის აპარატში იყო, მაშინ აღმასრულებელ ხელისუფლებას ძალიან ბევრი რამ ვერაფრით შეაცვლევინეს.

ახალ საგადასახადო კოდექსს თეიმურაზ კოპალეიშვილი საერთო ჯამში, წინგადადგმულ ნაბიჯად აფასებს, თუმცა იქვე დასძენს, რომ პროექტს აქვს ძალიან ბევრი

ნაკლოვანებები, რომელთა გამოსწორებაც პარლამენტში განხილვის პროცესში შესაძლებელია. საინტერესოა, რომ კოპალეიშვილის აზრით, გაცილებით უმჯობესი იქნებოდა მოქმედ კოდექსში ცვლილებები შესულიყო (მით უმეტეს, რომ ძალიან ბევრი მუხლი საერთოდ არ იცვლება) და არ გაკეთებულიყო ახალი კოდექსი, რადგან ხალხი გარკვეულ მუხლებსა და გარკვეულ თანმიმდევრობას მიჩვეულია, მუხლების ნომრები იცის. ახლა ეს ყველაფერი თავდაყირაა, ხალხმა თავიდან უნდა ისწავლოს, რაც რაღაც სირთულეებს წარმოქმნის.

ყურადსაღებად მიგვაჩნია კოპალეიშვილის მოსაზრება, რომ კარგი იქნებოდა ახალ კოდექსში მოსაკრებლები ასახულიყო. მოსაკრებლები გადასახადის ტიპის გადასახდელბა და ისინი ცალკე კანონებით რეგულირდება. მოსაკრებლებზე უამრავი კანონი გვაქვს. ცალ-ცალკეა კანონი სალიცენზიო მოსაკრებლის, ნებართვების მოსაკრებლის, საკონსულო მოსაკრებლის, საბაჟო მოსაკრებლის და სხვა. ძალიან კარგი იქნებოდა, ისინი რომ გაუქმებულიყო და კოდექსში შესულიყო. გადასახადების ნაწილში ერთიანი დოკუმენტი იქნებოდა. მოსაკრებლები ძირითადად გადასახადის ბუნებას ატარებს, ოღონდ ცოტა განსხვავდება მისგან. ბუნებრივი რესურსების მოსაკრებელი რომ გვაქვს, ადრე ბუნებრივი რესურსების სარგებლობისათვის გადასახადი გვქონდა. მერე ის გადასახადი მოსაკრებლად გადაკეთდა, კოდექსიდან გამოვიდა და მოსაკრებელი არის

ცალკე კანონით. იმისათვის, რომ ბიზნესმენმა გამოიყენოს, მას იმ კანონის მოძებნა და თვალყურისდევნება სჭირდება. კოდექსს ის უპირატესობა აქვს, რომ ყველა გადასახდელი ერთად უნდა იყოს თავმოყრილი, თორემ ადრე ჩვენ გვქონდა ცალკე კანონი დღგ-ზე, ცალკე სამემოსავლოზე, ცალკე მოგებაზე, ცალკე აქციზზე და სხვა. სანამ 1997 წელს პარლამენტი პირველ საგადასახადო კოდექსს მიიღებდა, ქვეყანას გადასახადებზე 8 კანონი ჰქონდა. მერე ერთიანი კოდექსი იმიტომ გაკეთდა, რომ ყველა ერთ კოდიფიცირებულ კანონში ყოფილიყო თავმოყრილი. ეს წინგადადგმული ნაბიჯი იყო, თუმცა მოსაკრებლები ცალკე დარჩა. მერე 2004-შიც კოდექსს მიღმა დარჩა და ახლაც. აჯობებდა კი, რომ შესულიყო.

კოპალეიშვილისაგან განსხვავებით, ლადო ჰაპავა მიიჩნევს, რომ ეს ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტი, დღეს მოქმედ კოდექსთან შედარებით, არც წინსვლაა და არც უკანსვლა. ჯერჯერობით, უფრო გვერდზე სვლას გავს, ანუ ერთი მოდელიდან მეორე მოდელზე გადასვლაა, რომელიც არც ნაბიჯია წინ და არც ნაბიჯი უკან.

ზურაბ ტყემალაძის აზრით კი, ახალი საგადასახადო კოდექსი უკან გადადგმული ნაბიჯია. მის სკეპტიციზმს საგადასახადო საქმის ბევრი სპეციალისტიც იზიარებს.

**დალი ჩიკვაძე**

**იურიდიული კონსულტაცია**

იურიდიული კონსულტაცია - ამ სახელწოდებით ჩვენს მკითხველს ვთავაზობთ რუბრიკას, რომლის დანიშნულებაცაა განმარტოს სხვადასხვა საკითხები, რაც სამეწარმეო სამართალს, შრომასა და სოციალურ დაცვას, ასევე საოჯახო სამართალს, შემკვიდრეობას და სხვა მსგავს საკითხებს შეეხება.

რუბრიკას უძღვება „ააფის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი, იურისტი ირინე დლონტი (მობ. (93) 35-99-09).

**სავალდებულო ფილი და საანდერძო დანაკისრი (ლეგატი)**

ჩვენი ჟურნალის მკითხველთა ინტერესების გათვალისწინებით, დღეს განვმარტავთ მემკვიდრეობის სამართლის ორ მეტად მნიშვნელოვან საკითხს:

**1) რას ითვალისწინებს კანონი იმ შემთხვევაში, როცა სამკვიდროს დამტოვებელს (მამკვიდრებელს) ჰყავდა პირველი რიგის მემკვიდრეები (შვილები, მეუღლე და შშობლები), მაგრამ მან ანდერძით მთელი თავისი ქონება ერთ-ერთ მათგანს ან ნებისმიერ სხვა პირს დაუტოვა;**

**2) რა არის საანდერძო დანაკისრი (ლეგატი).**

1. შევახსენებთ, რომ მემკვიდრეობის უფლება ორი სახისაა, კანონით და ანდერძით. თუ სახეზეა ანდერძი, მაშინ ქონება გადაეცემა მემკვიდრეს ანდერძის შინაარსის მიხედვით. კანონით მემკვიდრეობის საკითხი კი მაშინ

დგება, როცა არ არსებობს ანდერძი, ან იგი მიჩნეულია ყალბად, ანდა მემკვიდრემ უარი თქვა ანდერძით გათვალისწინებული ქონების მიღებაზე.

აღსანიშნავია, რომ ანდერძით მემკვიდრეობის დროს გარკვეულწილად იზღუდება ანდერძით მემკვიდრეთა ამორჩევის თავისუფლება. მამკვიდრებლის შვილებს, მეუღლეს და შშობლებს ანდერძის შინაარსის მიუხედავად, ეკუთვნით სავალდებულო ფილი, რომელიც უნდა იყოს იმ ფილის ნახევარი, რაც თითოეულ მათგანს კანონით მემკვიდრეობის დროს ერგებოდა, მიუხედავად იმისა, გაითვალისწინა თუ არა ისინი მონდერძემ ანდერძით. ეს ის მემკვიდრეებია, რომელთაც არ შეიძლება მთლიანად ჩამოერთვათ მემკვიდრეობის უფლება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი უღირს მემკვიდრეებად არიან ცნობილი. მაგ. გარდაიცვალა მამაკაცი, რომელსაც დარჩა 3 მილიონი დოლარის უძრავ-მოძრავი ქონება, ორი